მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 76 წელი გავიდა

09 მაისი 2021

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მამუკა საღარეიშვილმა გორში დიდების მემორიალი ყვავილებით შეამკო და მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მეომრების ხსოვნას პატივი მიაგო.

,, საქართველომ უდიდესი წვლილი შეიტანა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ათასობით ჩვენი თანამემამულე გმირულად დაეცა. განსაკუთრებულად მინდა მივულოცო დღევანდელი დღე ჩვენს ვეტერანებს. მხნეობას და ჯანმრთელობას ვუსურვებ. ჩვენი ვალია, რომ ეს ადამიანები დაფასებულები გვყვავდნენ“- აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა.

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომს 300 ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. 1945 წლის 8 მაისს გერმანიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადების შემდეგ მეორე მსოფლიო ომი დასრულდა